ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4644105

ნომერი: AR1702178

თარიღი : 19.08.2019

გაცემის თარიღი : 22.08.2019

გაცნობის თარიღი : 24.08.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 63 ; ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილი , კოსმონავტების სკვერი , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა კაპანაძე პ/ნ 01029014924
- თბილისი მოსკოვის გამზ. N 33 კორ. 4 ბ. 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 19 აგვისტოს #AR1702178 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, N 63 /ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტის სკვერი, მიმდებარედ, (საკადასტრო კოდი: N 01.19.21.003.110) არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის - ფუნქციით კომერციული და საცხოვრებელი, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში. აღნიშნული ზონა შესაძლებელია დაზუსტებული იქნას ქვეზონით საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2), რომელიც წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ- საქმიან ქვეზონას და მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1 0,5 * / 0,7 კოეფიციენტი
კ-2 4,6 კოეფიციენტი
კ-3 0,2 კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე – ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები მინიმალური ფართობი 700 კვ.მ
მინიმალური სიგანე 20 მეტრი
მინიმალური სიღრმე 30 მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე – მეტრი
შენიშვნა * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)ში -
ა) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობებია:

· მრავალფუნქციური შენობა (დომინირებულად გამოყოფილია საზოგადოებრივი ფუნქციური სახეობები);
· პარკი;
· ბაღი;
· სკვერი;
· ბულვარი;
· აფთიაქი;
· კლუბი;
· კინოთეატრი;
· თეატრი;
· საკონცერტო დარბაზი;
· უნივერსალური სპორტულ-სამაყურებლო დარბაზი;
· საქალაქო ბიბლიოთეკა;
· არქივი;
· საინფორმაციო ცენტრი;
· მუზეუმი;
· საგამოფენო დარბაზი;
· საცეკვაო დარბაზი-დისკოთეკა;
· უნივერსალური მაღაზია;
· სავაჭრო ცენტრი;
· ბარი;
· კაფე;
· რესტორანი;

· სწრაფი კვების ობიექტი;
· საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი, გარდა სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტისა;
· საფოსტო და კავშირგაბმულობის ობიექტი;
· ბანკის ფილიალი, განყოფილება;
· ბანკი;
· მართვის დაწესებულება და ორგანიზაცია;
· ოფისი;
· სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციები;
· სასამართლო;
· იურიდიული კონსულტაცია;
· სანოტარო ბიურო;
· სასტუმრო;
· ჩაშენებული საზოგადოებრივი ტუალეტი;
· ინდივიდუალური ან/და საერთო სარგებლობის ავტოსადგომი;

ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას:
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
დაწყებითი სკოლა;
საშუალო სკოლა;
საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულება;
უმაღლესი სასწავლებელი;
პოლიკლინიკა;
კაზინო და სხვა აზარტული თამაშების ობიექტი;
ჯიხური ან/და დროებითი პავილიონი (საცალო ვაჭრობისა და მომსახურეობისათვის);
პოლიციისა და არასაუწყებო დაცვის განყოფილება;
აეროსადგური;
ავტოგასამართი სადგური ავტოგასამართი კომპლექსი, აირგასამართი სადგური ან აირსავსები
საკომპრესორო სადგური
სახანძრო დეპო;
კომუნალური და საინჟინრო ტექნიკური ობიექტი;
საკულტო შენობები და ნაგებობები;
სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კომერციულთან ერთად მოთხოვნილია საცხოვრებელი ფუნქციის საპროექტი ობიექტი 2019 წლის 19 აგვისტოს #AR1702178 განცხადება ვერ დაკმაყოფილდება, რადგან წარმოდგენილ ზონაში მოქმედი კანონმდებლობა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსებას არ ითვალისწინებს, ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.

---

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.